

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოფიკო ბარდაძე

ისტორიის ინტერპრეტაცია თურქეთის სკოლის
სახელმძღვანელოებში და თურქეთში მცხოვრები ეთნიკურად
ქართველი მოსახლეობის ცოდნა ისტორიული
სამშობლოს შესახებ

პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა
ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: თამარ ქარაია

ასისტენტ პროფესორი

თბილისი

2019

ანოტაცია

ნაშრომი ეხება თურქეთის სკოლებში გადმოცემულ ისტორიას. ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო გაგვეანალიზებინა მეზობელი ქვეყნის თვალთ დანახული საქართველო სკოლის სახელმძღვანელოებში. თვალსაჩინოებისათვის ნაშრომში ცალკე თავი დავუთმეთ საქართველოს სკოლის სახელმძღვანელოების აღწერასაც მეზობელ სახელმწიფოსთან (თურქეთი) მიმართებაში, რათა უფრო იოლი ყოფილიყო განსხვავების დანახვა ორი ქვეყნის ისტორიის აღქმათა შორის.

წინამდებარე ნაშრომი ეყრდნობა ამჟამად თურქეთსა და საქართველოში აკრედიტებულ სკოლის სახელმძღვანელოებს. ასევე, წერილობით მასალებსა და ზეპირ გადმოცემებს.

კვლევაში სიახლეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ თურქეთის სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოები დღემდე არავის განუხილავს და ფართო მასებამდე არ მიუტანია თუ როგორ აცნობს თურქეთის სახელმწიფო საკუთარ მეზობელ ქვეყანას თავის მოსახლეობას, რომელშიც ეთნიკურად ქართველებიც მრავლად არიან.

კვლევის საგანს წარმოადგენს საუკუნეების წინ თურქეთში გადასახლებული და თითქმის სრულად თურქულ მხარესთან ასიმილირებული ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის ისტორიის აღქმა სკოლაში ნასწავლი ისტორიის წიგნებიდან გამომდინარე.

Abstract

The work deals with the history of Turkish schools. It was important for us to analyze Georgia through the eyes of the neighbour country's school books. In the research for the visible we dedicated another chapter to see the place of Turkey in the Georgia's school books to the in order to see the difference between the perception of the history of the two countries.

The present work is based on the books currently accredited in Turkey and Georgia. Also, writing materials and verbal concepts.

The news in the research is the fact that the history of Turkish school has never been seen and has not given priority to how the Turkish state is informed about neighbor country and its citizens in which its ethnic Georgians are also very much.

The subject of research is the perception of the history of ethnically Georgian population assimilated in Turkey, centuries ago and almost entirely Turkish side, based on the history books taught in school.

სარჩევი

შესავალი.....	5
თავი I. თურქეთში მცხოვრები ეთნიკურად ქართველების ეროვნული იდენტობის საკითხები.....	9
1.1 ისტორიის ინტერპრეტაციის თეორიული ასპექტები	17
თავი II. საქართველოს ადგილი თურქეთის სკოლის ისტორიის ს	22
2.1 გეოგრაფიული მდებარეობა	22
2.2 ეკონომიკური პარტნიორობა	23
2.3 ხელშეკრულებები	24
2.4 დაპყრობები და ბრძოლები.....	27
თავი III. ორი ქვეყნის სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოების ანალიზი.....	30
3.1 გეოგრაფიული მდებარეობა	30
3.2 ეკონომიკური პარტნიორობა	31
3.3 ხელშეკრულებები.....	31
3.4 დაპყრობები და ბრძოლები.....	32
დასკვნა.....	36
გამოყენებული ლიტერატურა	38
დანართი:.....	42

შესავალი

საქართველოსა და თურქეთის სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ისტორია საკმაოდ მრავალფეროვანია. ორივე ქვეყანას ისტორიის თავისებური აღქმა აქვს. საქართველოსა და თურქეთის გზები ბევრჯერ გადაკვეთილა ისტორიული წყაროების მიხედვით. ორივე ქვეყნის ისტორიაშია დამარცხებისა და გამარჯვების მონაკვეთები. საჯარო სკოლებში ისტორიის სახელმძღვანელოებში ადრეული კლასებიდანვე ისწავლება სახელმწიფოსადმი სულისკვეთებით სავსე ფაქტები.

საკვლევი თემა მეტად მნიშვნელოვანი და აქტუალურია, რადგან საქმე ეხება ეროვნული იდენტობის ფორმირებას და ამ პროცესში ხელისუფლების ზეგავლენას. საკითხი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც მიუწვდომელი და უცნობია ფართო მასებისთვის ენის არცოდნის გამო.

კვლევის მიზანია გაანალიზდეს ის, თუ როგორ აღიქვამს თითოეული სახელმწიფო ისტორიის მნიშვნელობას და სახელმძღვანელოებიდან გადაცემული ინფორმაცია მეზობელი ქვეყნის შესახებ როგორი სახის შექმნას ცდილობს: მტერი თუ მოყვარე, სუსტი თუ ძლიერი, მამაცი თუ მხდალი, ძლიერი სახელმწიფო თუ დაჩაგრული. ამასთანავე, კვლევის მიზანია განსაზღვროს სკოლის სახელმძღვანელოებით ნასწავლი ისტორიის გავლენა თურქეთის ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის იდენტობის ფორმირების საკითხში.

კვლევის ამოცანაა გაანალიზოს ორი მეზობელი ქვეყნის - თურქეთისა და საქართველოს სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოები, მათი მიდგომა და ისტორიის აღქმა მეზობელ ქვეყანასთან მიმართებაში. კვლევის მიზანია დასვას ორივე ქვეყნის ისტორიის აქცენტები და შეადაროს კონტექსტები.

იმისათვის რომ კვლევის მიზნებისა და ამოცანების იმპლემენტაცია მოვახდინოთ, შერჩეულია შემდეგი **კვლევის ობიექტები**:

ა) თურქეთის სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოები:

1. სოციალური მეცნიერებები მე-4 კლასი, ავტორი: სამი თუისუზი, ანკარა 2018;

2. სოციალური მეცნიერებები მე-7 კლასი, ავტორი: გოქან გიულტეკინი, მურათ აქფინარი, მუსტაფა ნოჰუტუჯუ, ფინარ ოზერდოდანი, სეჰერ აიგუნი, ანკარა 2018;
3. ათათურქიზმი მე-8 კლასი, ავტორი: ჩილდემ ატაშ, უფუქ ატაშ, ანკარა 2018;
4. ისტორია მე-9 კლასი, ავტორი: ეროლ იუქსელი, მეჰმეთ ალი ქაფარი, ფერჰათ ბილდიქი, ქაზიმ შაჰინი, ლეილა შაფაქი, მურათ არდილი, ოზგურ ბაღჯი, სულეიმან ილდიზი, ანკარა 2018;
5. ისტორია მე-10 კლასი, ავტორი: ეროლ იუქსელი, მეჰმეთ ალი ქაფარი, ფერჰათ ბილდიქი, ანკარა 2018;
6. ისტორია მე-10 კლასი, აჰმეთ ილმაზი, ანკარა 2018;
7. ისტორია მე-11 კლასი, ალი ლაჩინი, ბედრიჰან ონალი, ბულენტ დემირი, ერდალ ერდემი, მიქაილ ქაფლანი, მურათ არიჯა, სალიჰ გუნდოდდუ, ველი აუდემირი, იაჰია ქარაქაია, იუსუფ ჩაქმაქი, ანკარა 2018
8. ათათურქიზმი მე-12 კლასი, აქიფ ჩევიქი, გიულ ქოჩი, ქორაი შერბეთჩი, ანკარა 2018.

ბ) საქართველოს სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოები:

1. ჩვენი საქართველო მე-5 კლასი, მოსწავლის წიგნი, ნაწილი I- II, ავტორი: როლანდ თოფჩიშვილი, ელენე მეძმარიშვილი, ნოდარ ელიზბარაშვილი, გიორგი ავთანდილაშვილი, თბილისი 2018;
2. ჩვენი საქართველო მე-6 კლასი, მოსწავლის წიგნი, ნაწილი I -II, ავტორი: როლანდ თოფჩიშვილი, ელენე მეძმარიშვილი, ნოდარ ელიზბარაშვილი, გიორგი ავთანდილაშვილი, თბილისი 2018;
3. საქართველოს ისტორია მე-9 კლასი, ავტორი: ნოდარ ასათიანი, მარიამ ლორთქიფანიძე, ფარნაოზ ლომაშვილი, როინ მეტრეველი, გიორგი ოთხმეზური, თბილისი 2012;
4. ისტორია მე-11 კლასი, ავტორი: ნინო კილურაძე, გიორგი სანიკიძე, ლევან გორდუზიანი, ლალი ფირცხალავა, რევაზ გაჩეჩილაძე, ნოდარ ასათიანი, თბილისი 2012;

5. ისტორია მე-12 კლასი, ავტორი: ნინო კილურაძე, რევაზ გაჩეჩილაძე, გიორგი სანიკიძე, თბილისი 2012.

კვლევის კითხვა შემდეგნაირად ფორმულირდა:

რა ფაქტორები ახდენენ ყველაზე მეტ გავლენას ისტორიის სხვადასხვანაირი აღქმისა და კოლექტიური მეხსიერების ფორმირების საკითხზე ორი მეზობელი ქვეყნის სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოების მაგალითზე და როგორ ნარატივს გვთავაზობს თითოეული მათგანი;

შესაბამისად ჰიპოთეზა შესაძლებელია შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: თურქეთში მცხოვრები ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის კოლექტიური მეხსიერების ფორმირებაზე გავლენა მოახდინა თურქეთის სკოლის სახელმძღვანელოებში საქართველოზე მცირე და უმნიშვნელო ინფორმაციის მიწოდებამ, რომელიც საქართველოს უქმნის სუსტი ქვეყნის სახეს;

რაც შეეხება **ცვლადების ოპერაციონალიზაციას**, მივიღეთ შემდეგი გაზომვის დონეები: თურქეთში მცხოვრები ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის კოლექტიური მეხსიერების გასაზომად გამოვიყენეთ თურქეთის სკოლებში აკრედიტებული ისტორიის სახელმძღვანელოები. მეზობელ ქვეყანასთან დაკავშირებული ისტორიის საქართველოსეული აღქმის დასადგენად ვყვრდნობით ქართულ სკოლებში ავტორიზებული ამჟამინდელი ისტორიის სახელმძღვანელოებს.

ამხსნელ თეორიად გამოყენებულია ენტონი დ.სმითისა თეორია, რომელიც გვთავაზობს რამდენიმე კომპონენტთან ჩამონათვალს, რაც ქმნის ნაციონალურ იდენტობას. ესენია: ისტორიული ტერიტორია, ანუ სამშობლო; საერთო მითები და ისტორიული მეხსიერება; საერთო საზოგადოებრივი მასკულტურა; ყველა წევრისათვის საერთო სამართლებრივი უფლება-მოვალეობანი; საერთო ეკონომიკა მის წევრთათვის ტერიტორიული მობილურობის უზრუნველყოფით;

სმითის თეორიის მიხედვით ნაციონალური იდენტობისა და კოლექტიური მეხსიერების რღვევა იწყება მაშინ, როდესაც მოსახლეობა სხვა დანარჩენ ნიშნებთან ერთად ივიწყებს მშობლიურ ერთან დამაკავშირებელ საერთო მითებს.

ზემონათქვამი რომ მოვარგოთ თურქეთში მცხოვრებ ქართველებს, მივიღებთ შემდეგს: საუკუნეების წინ თურქეთში გადასახლებულ ქართველებს ქართულ

ეროვნულ იდენტობასთან კავშირი აქვს გაწყვეტილი, რადგან არ არსებობს საერთო ტერიტორია, მინიმუმამდეა დაყვანილი საერთო მითები და ისტორიული მემკვიდრეობა, რადგან ნამდვილი რეალობის ამსახველ ისტორიას ისინი არ სწავლობენ სკოლებში და არ მიეწოდებათ ზუსტი სახით ინფორმაცია. ისინი სამშობლოს შესახებ წარმოდგენას იქმნიან მხოლოდ თაობიდან თაობაზე გადაცემული ზეპირი ისტორიებით. ენტონი დ. სმითის თეორიაში არსებული დანარჩენი კომპონენტებითაც ეთნიკურად ქართველები ფლობენ არა საქართველოსთან, არამედ თურქეთთან საერთო სამართლებრივ უფლება-მოვალეობებს და, თავისთავად, ისინი ჩართულები არიან ადგილობრივ ეკონომიკაში.

კვლევის მეთოდოლოგია. წინამდებარე კვლევა არის თვისებრივი ხასიათის საკითხის სიღრმიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე. იგი მოიცავს პირველადი და მეორადი წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის თვისებრივ ანალიზს. კერძოდ, კვლევაში გამოყენებულია შემდეგი ტექნიკა: სახელმძღვანელოების შინაარსობრივი ანალიზი. გავაანალიზეთ ისტორიის 8 თურქული და 7 ქართული სახელმძღვანელო. გავაანალიზეთ თითოეულ წიგნში გადმოცემული ისტორია, რომელიც უშუალოდ ეხება საქართველოს და თურქეთს.

კვლევის ლიმიტი: საკითხის სიღრმიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე ნაშრომი შემოიფარგლება მხოლოდ სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოებით.

კვლევა შედგება ოთხი თავისაგან. პირველ თავში საუბარია ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის ეროვნული იდენტობის საკითხებზე, ისტორიის მნიშვნელობასა და ინტერპრეტაციის მიზეზებზე. მეორე თავში განხილულია თურქეთის სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოებით მიღებული ინფორმაცია საქართველოს შესახებ. მესამე თავში ვაანალიზეთ ორივე ქვეყნის ისტორიას სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით. ბოლო თავი ეთმობა დასკვნას და კვლევის შედეგების ჰიპოთეზასთან თანხვედრას.

თავი I. თურქეთში მცხოვრები ეთნიკურად ქართველების ეროვნული იდენტობის საკითხები

საქართველოსა და თურქეთის სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ისტორია საკმაოდ მრავალფეროვანია. ისტორიულ რაკურსს თუ გადავავლებთ თვალს ბევრ სამწუხარო ფაქტს შევხვდებით. თურქეთში გადასახლებულმა ქართველებმა, ფაქტობრივად, სრულად გაწყვიტეს კავშირი საქართველოსთან. ქართველები ერთმანეთთან მჭიდრო დასახლებით ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ იდენტობის ნიშნები. თუმცა, თურქეთის ასიმილაციურულმა და ე.წ. „გათურქების“ (ამავე თავში ვრცლად განვიხილავთ) პოლიტიკამ თავის ფესვებთან დამაკავშირებელი ბევრი ძაფი გაწყვიტა.

დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ვებ-გვერდზე ვიღებთ ინფორმაციას ეთნიკურად ქართველების საცხოვრებლის თაობაზე. ისინი ძირითადად დასახლდნენ ქ. სტამბოლსა და მარმარას რეგიონში მდებარე ბურსას, ადაფაზარის, ქოჯაელის, ბოლუს, ამასიის, თოკათისა და ბალიკესირის ოლქებში. მცირე რაოდენობით ცხოვრობს ქართული მოსახლეობა დედაქალაქ ანკარაში. ქართული დიასპორის მნიშვნელოვანი ნაწილი შემორჩენილია საქართველოს ისტორიულ ტერიტორიებზე ართვინის, არტანისა და რიზეს ოლქებში. მნიშვნელოვანი ქართული დასახლებებია თურქეთის შავიზღვისპირეთშიც: სამსუნში, სინოპში, გირესუნში, ორდუში, უნიესა და ფაცაში (დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, ქართველები თურქეთში).

სანამ უშუალოდ ეროვნული იდენტობის საკითხზე გადავიდოდე, მინდა შეძლებისდაგვარად მოკლედ, მაგრამ დეტალურად მიმოვიხილო ის ისტორია, რომელმაც საბოლოო ჯამში დღევანდელი მდგომარეობამდე მოგვიყვანა. დავიწყოთ სიტყვა „მუჰაჯირობით“, რომელიც ქართულ განმარტებით ლექსიკონში გვხვდება, როგორც „ისტ. აჭარიდან ან აფხაზეთიდან ოსმალეთში გახიზნული, ემიგრირებული“.

საქართველოს ისტორიაში არსებული მუჰაჯირობა დაკავშირებულია ორი სახელმწიფოს რუსეთისა და თურქეთის დამაბული ურთიერთობით, რომელსაც საბოლოო ჯამში, მოჰყვა ქართველი მოსახლეობის მასობრივი სახის გადასახლებები

ოსმალეთის იმპერიაში. საქართველო ორი ძლიერი და დამპყრობელი მეზობლის დაპირისპირებაში წარმოადგენდა ბრძოლის ასპარეზს, რამაც ძალიან დიდი ზარალი მიაყენა ქვეყანასა და მოსახლეობასაც.

თავდაპირველად ისინი მხოლოდ ქართულ ენაზე მეტყველებდნენ თუმცა, განათლების მისაღებად და საკუთარი ადგილის დასამკვიდრებლად საჭირო გახდა თურქული ენის სწავლა. ქართული ენა ბევრ რეგიონში დავიწყებას მიეცა. ძირითადად იციან მოხუცებმა, ისიც რა თქმა უნდა შეცვლილი ფორმით და საუბრისას ნახევარზე თურქული სიტყვების მოშველიებით (გუჯეჯიანი რ. 2015) ეს ჩვეულებრივი მოვლენაა იმ ნიადაგზე, სადაც არ ხდება ქართული ენისა და ისტორიის სწავლება. ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა ენას და ისტორიულ სამშობლოზე ისტორიებს ისმენს მხოლოდ ზეპირი გადმოცემებით. ქართულ ენაში, რა თქმა უნდა, არ იგულისხმება სალიტერატურო ქართული. მათ მეხსიერებაში შემორჩენილია „დედეებისაგან“ ანუ უფროსი თაობისაგან ნასწავლი ქართული, რომელიც აჭარულ-გურული კილო-კავებითა და ლექსიკით გამოირჩევა. მოგეხსენებათ, ზეპირი გადმოცემები მთქმელის ინტერპრეტაციის მიხედვით, ხშირ შემთხვევაში, კავშირს კარგავს თავის დედანთან. შესაბამისად, ისტორიული სამშობლოს შესახებ მათ არ აქვთ ზუსტი ინფორმაცია არც ზოგიერთი ზეპირი გადმოცემიდან.

ორივე ქვეყანას თავისი ისტორია აქვს. საქართველოსა და თურქეთის გზები ბევრჯერ გადაკვეთილა ისტორიული წყაროების მიხედვით. ორივე ქვეყნის ისტორიაშია დამარცხებისა და გამარჯვების მონაკვეთები. მოგეხსენებათ, რომ საქართველოსა და თურქეთს შორის ურთიერთობა ისტორიულად თითქმის არასოდეს ყოფილა სტაბილური და მშვიდი. მუდმივად მიმდინარეობდა ბრძოლა ქართული მიწების დასაცავად და უკან დასაბრუნებლად.

თამამად შეიძლება თურქეთის სახელმწიფოს მიზანმიმართულ პოლიტიკას „გათურქების“ პოლიტიკა ვუწოდოთ, რომლის შედეგად იდენტობის ნიშნებმა დაიწყო დაკარგვა ეტაპობრივად.

ქართველების გადასახლებისა და საქართველოს სამხრეთ ტერიტორიის დაპყრობის შემდეგ იწყება ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის ეროვნული

იდენტობის ნიშნების ფორმირება. პირველადი მნიშვნელობა მიენიჭა სარწმუნოებას. სარწმუნოების შეცვლის აუცილებლობა ოსმალური მიწათმფლობელობის წესმა გამოიწვია, რომელიც საქართველოს სამხრეთ ტერიტორიის დაპყრობის შემდეგ ამ მიწებზეც გავრცელდა. მიწის ფლობა მხოლოდ სამხედრო მოსამსახურეთა პრეროგატივა იყო, სამხედრო სამსახურში კი თავისთავად მარტო მუსლიმები იყვნენ ჩართულები. მოცემული ოსმალური წესის მიხედვით ქართველ დიდგვაროვანთა მიწები თურქების ხელში უნდა გადასულიყო. ქართველი დიდგვაროვნები დადგნენ დიდი პრობლემის წინაშე: ან უნდა დაეთმოთ სარწმუნოება, ან შელეოდნენ მიწებს, რაც თავისთავად ნიშნავდა, რომ ისინი ავტომატურად ხდებოდნენ ოსმალთა ქვეშევრდომები. თავადების დიდმა ნაწილმა გადატაკებას ისევ ისლამის მიღება არჩია, ხოლო ვინც არ დათმო სარწმუნოება, ისინი თავის მიწებიანად და ყმა-გლეხებიანად თურქებს დაექვემდებარნენ.

მეორე ეტაპის ფორმირება უკვე მშობლიურმა ენამ გაიარა. გამაჰმადიანებულ ან უკვე მაჰმადიან მოსახლეობაში თურქული ენის გასავრცელებლად იხსნებოდა მეჩეთებთან პირველდაწყებითი სასულიერო სასწავლებლები, სადაც ლოცვებს და თურქულ ენას ასწავლიდნენ. ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა ცდილობდა არ აღრეულიყო მათთვის უცხო ხალხში. ამისათვის გამოიყენებოდა ტერმინი მესხების შემთხვევაში „იერლი“-ანუ ადგილობრივი, სიტყვა ქართველი ქრისტიანს ნიშნავდა, თურქები ქართველ მუსლიმებს „გურჯი-ოღლის“ ანუ საქართველოს ძეებს უწოდებდნენ.

მესამე ეტაპი იყო ქართული გვარების აკრძალვა და მათ ნაცვლად ახალი, თურქული გვარების მინიჭება ეთნიკურად ქართველი მოსახლეობისათვის. ქართული გვარები ჩაანაცვლა თურქულმა (მაკარამე-აიქული; ვახტანგამე-ბაშრუკი;)

მეოთხე ეტაპი უკვე კულტურის ნიშნების თანდათანობით თურქულ ადათ წესებთან აღრევა იყო. აღსანიშნავია, რომ საკმაოდ დიდი პერიოდი ეთნიკურად ქართველები არ ქორწინდებოდნენ ადგილობრივ თურქებზე და ინარჩუნებდნენ ქართულ გენებს. თუმცა, ახლა ეს ტრადიცია და აკრძალვები აღარ მოქმედებს. მცირე რაოდენობითაა შემორჩენილი ცოდნა ტრადიციული კერძებისა და კულტურის სხვა ნიშნების შესახებ.

შემდეგი ეტაპი იყო უკვე ტოპონიმის ცვლილება. სოფლების, მდინარეების, ხიდების, ეკლესიების, ციხეებისა და უბნების ქართული მნიშვნელობები ჩაანაცვლა თურქულმა დასახელებებმა (არტაანი - არდაჰანი; ძურძუნა - ჩილდირი; ქაჯეთის ციხე - შეითან ქალე; ახიზის ციხე- ფერთახსლი; არტანუჯი - გევჰერნიქი; ხერთვისი - ქონაქლი). კულტურული ძეგლებისა და სოფლის სახელებშიც (ხანძთა - პორტა; ოთხთა ეკლესია- დორთა ქილისე) გაჩნდა თურქული სიტყვები (ზაგაური ნ. კუდავა ბ. 2018).

ისტორიის სახელმძღვანელოები მეზობელი ქვეყნის საქართველოს შესახებ არასრულ და უმნიშვნელო ინფორმაციას აწვდის მოსახლეობას, რომლის ნაწილსაც თურქეთში მცხოვრები ქართველები შეადგენენ. თურქეთის სკოლის ისტორია არც იმაზე იძლევა ინფორმაციას თუ როგორ მოხვდნენ ეთნიკურად ქართველები თურქეთში. დღეს ზემოთ მოხსენიებულ ზოგიერთ რეგიონში ეთნიკურად ქართული მოსახლეობა მთლიანად არის ასიმილირებული თურქულ მოსახლეობასთან. ზოგიერთ რეგიონში კი უფრო მეტად შემორჩენილია მათი ისტორიული მახსოვრობა, ქართული ენა და წეს-ჩვეულებანი ზეპირი გადაცემების საშუალებით (ჩოხარაძე მ. 2016).

სანამ უშუალოდ ეროვნული იდენტობის საკითხზე გადავიდოდე, მინდა შეძლებისდაგვარად მოკლედ განვიხილოთ ის ისტორიული ფაქტები, თუ როგორ აღმოჩნდნენ ქართველები თურქეთში. საქართველოს ისტორიაში არსებული მუჭაჯირობა დაკავშირებულია ორი სახელმწიფოს რუსეთისა და თურქეთის დამაბული ურთიერთობით, რომელსაც საბოლოო ჯამში, მოჰყვა ქართველი მოსახლეობის მასობრივი სახის გადასახლებები ოსმალეთის იმპერიაში. საქართველო ორი ძლიერი და დამპყრობელი მეზობლის დაპირისპირებაში წარმოადგენდა ბრძოლის ასპარეზს, რამაც ძალიან დიდი ზარალი მიაყენა ქვეყანასაც და მოსახლეობასაც.

გადასახლების ისტორია მოიცავს რამდენიმე ეტაპს:

- 1) პირველი დიდი ტალღა 1828-29 წლები. გადასახლდა დაახლოებით 75 ათასი ქართველი მუსლიმი. მუჭაჯირობის ამ ტალღის კვალი თანამედროვე თურქეთში ძნელად იძებნება. არაქართულ გარემოში დასახლებული,

საკუთარ მიწა-წყალს და ფესვებს მოწყვეტილ მესხებს გაუჭირდათ იდენტობის ნიშნების შენარჩუნება რის გამოც, თანამედროვე თურქეთში მესხ მუჰაჯირთა კვალი ძალიან ძნელად იძებნება (ჩოხარაძე მ. 2016).

- 2) მეორე ტალღა აფხაზთა მუჰაჯირობა 1867 წელი. XIX საუკუნის 60-იან წლებში აფხაზთა ერთი ჯგუფი, დაახლოებით, 2000-მდე ოჯახი დასახლდა აჭარაში. აჭარის აფხაზური მოსახლეობა კიდევ უფრო გაიზარდა 1877 წელს, ასევე - XIX საუკუნის 80-იან წლებში, როცა ოსმალეთიდან მობრუნებულ აფხაზთა ოჯახებს რუსეთის ხელისუფლებამ აფხაზეთში დაბრუნების უფლება არ მისცა (ჩოხარაძე მ. 2016).
- 3) მესამე ტალღა 1877-78 წლები რუსეთმა დასავლეთ კავკასიის დაპყრობით დაასრულა კავკასიის ომი, გააუქმა აფხაზეთის სამთავრო და იქ რუსული მმართველობა შემოიღო. მუჰაჯირი აფხაზები სახლდებოდნენ როგორც ოსმალეთის შიდა პროვინციებში, ასევე განაპირას, სამშობლოსთან ახლოს. აღსანიშნავია ისიც, რომ აჭარაში მცხოვრები აფხაზების ნაწილი 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ სამხრეთ საქართველოში დაწყებულ მასობრივი მუჰაჯირობის პროცესში ჩაერთო და აჭარლებთან, შავშელებთან თუ კლარჯებთან ერთად თურქეთის შიდა პროვინციებში გადასახლდა (მათ კვალს თურქეთში დღესაც წააწყდები აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის) (ჩოხარაძე მ. 2016).
- 4) გადასახლების პროცესი მეოცე საუკუნეშიც გრძელდებოდა. მთელი პერიოდის - 1878-1921 განმავლობაში. პირველი მსოფლიო ომის პერიოდი, როცა სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ოპერაციების საკმაოდ მასშტაბურმა ტალღებმა გადაიარა. მაშინ საკმაოდ ბევრი ოჯახი გაიხიზნა (თუმცა, ნაწილი მალევე დაბრუნდა უკან) (ჩოხარაძე მ. 2016).
- 5) 1921 წლიდან ყარსის ხელშეკრულების საფუძველზე სამხრეთ საქართველოს ნაწილი გადავიდა თურქეთის მფლობელობაში. გადასახლების ცალკეული შემთხვევები 1921 წლის შემდეგაც გვხვდება: საქმე ეხებოდა კომუნისტურ რეჟიმს, რომლისგანაც თავის დაღწევის

მიზნით, მოქალაქეები ქვეყნიდან გამორბოდნენ და თურქეთის შიდა პროვინციებში სახლდებოდნენ (ჩოხარაძე მ. 2016).

თურქეთსა და საქართველოს შორის ომებითა და სისხლის ღვრით სავსე ისტორიული მონაკვეთები მრავლადაა და მოცემული ნაშრომი სრულად ვერ დაიტევს ამ მაგალითებს. საბოლოო ჯამში 1921 წლის ყარსის ხელშეკრულებით მთელი სამხრეთ საქართველო ოსმალეთის შემადგენლობაში მოექცა. თანდათან დამკვიდრდა ცხოვრების ახალი წესი და რიგი, ახალი რელიგია. საქართველოს ისტორიული პროვინციების მოსახლეობა ნელ-ნელა, თაობიდან თაობამდე, ჩამოყალიბდა ოსმალეთის იმპერიის ერთგულ ქვეშევრდომად. არაერთი ქართველი (გურჯი) მედგრად იბრძოდა ოსმალეთის ძლიერებისათვის, ერთგულად საქმიანობდა სახელმწიფო სამსახურში, აშენებდა ციხეებსა თუ სალოცავებს (ჩოხარაძე მ. 2016)

იმ ეპოქაში, რომელზედაც ვსაუბრობთ, გამოიკვმოდა ქართული წიგნები და ჟურნალ-გაზეთები, წარმატებით ფუნქციონირებდა ქართული თეატრი, სკოლები, არსებობდა ქართული საქმის სამსახურში ჩამდგარი საზოგადოებრივი გაერთიანებები, თანდათან ძლიერდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს სახელმწიფო XIX საუკუნეში აღარ არსებობდა. ამდენად, არ არსებობდა რომელიმე ქართული ინსტიტუტიც, რომელიც ოფიციალურად შეძლებდა თავისი მოქალაქეების ინტერესების დაცვას საერთაშორისო ასპარეზზე თუ ქვეყნის შიგნით. რუსეთის კოლონიად ქცეული ქვეყნის მოღვაწეთა შესაძლებლობები კი უაღრესად შეზღუდული იყო. მიუხედავად ამისა, ყველაზე ბეჯითად სწორედ საქრისტიანო საქართველოს მამულიშვილებმა აიმაღლეს ხმა მუსლიმ თანამომხმეთა დასაცავად. ისინი უპირისპირდებოდნენ როგორც რუსეთის იმპერიის მმართველი წრეების პოლიტიკას, ასევე, ოსმალურ პროპაგანდას და ცდილობდნენ, შეეჩერებინათ მუჰაჯირობის ტალღა, გარდა ამისა, გაეადვილებინათ ქართველი მუსლიმებისთვის ახალ, რთულ დროებასთან შეგუების პროცესი, დახმარებოდნენ მათ წინაშე არსებული უამრავი პრობლემის მოგვარებაში, ეზრუნათ ეპოქის შესაფერისი საგანმანათლებლო თუ კულტურული დაწესებულებების ჩამოყალიბებისთვის და ა.შ. მაშინდელ ქართულ პრესაში ამ განწყობის გამომხატველი მრავალი წერილი დაიბეჭდა და უნდა აღინიშნოს, რომ

თავადაც კოლონიალური რეჟიმის მარწუხებში მოქცეულმა ქართულმა საზოგადოებამ ბევრი ღირებული საქმის გაკეთება შეძლო და სამუსლიმანო საქართველოს გამოჩენილ მოღვაწეებთან ერთად გულმოგიწოდ იღვაწა სხვადასხვა აღმსარებლობის ქართველთა ერთიანობისათვის (ჩოხარაძე მ. 2016)

სამშობლოსაგან ძალიან შორს, მაგრამ მუდამ ქართული ქართული საქმის მკეთებლად თურქეთში მცხოვრებ ქართველთაგან გამორჩეული ადგილი უჭირავს აჰმედ ოსქანს (მელაშვილი), რომელსაც თურქეთელი ქართველების ილია ჭავჭავაძესაც უწოდებენ. შემთხვევითი არაა ეს სახელი. ისიც 1980 წელს მოკლეს თავისი პატრიოტული საქმიანობის გამო (კალანდია გ. 2015). მან საკმაოდ მოზრდილ ასაკში გაიგო, თუ სად იყო საქართველო, რომ ის იყო მათი ისტორიული სამშობლო, სადაც მათსავით ქართველები ცხოვრობდნენ, რომ საქართველოშიც არსებობდა სკოლა, უნივერსიტეტი, რადიო... მანამდე ჰქონდათ წარმოდგენა თითქოს მხოლოდ ისინი იყვნენ ქართველები და ისიც მხოლოდ თურქეთში ცხოვრობდნენ. ქართული ანბანის არსებობის შესახებაც მას საბჭოთა რეჟიმს გაქცეული ქართველი ემიგრანტისაგან გაუგია. მანამდე ისინი ქართული სიტყვების წერისათვის ლათინურ ანბანს იყენებდნენ (ჩოხარაძე მ. 2016)

ორივე ქვეყნის რუსეთ-თურქეთის მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად მივიღეთ ათასობით გადასახლებული ადამიანი. ფაქტორებს რომ ჩავუღრმავდეთ, შესაძლებელია დაიყოს რამდენიმე კატეგორიად: 1 - საქართველოს დასუსტება ორივე ქვეყნის ინტერესი იყო; 2 - რუსეთს სურდა ხელში ჩაეგდო საქართველოში არსებული ბუნებრივი სიმდიდრეები, ნავსადგური, მნიშვნელოვანია საქართველოს სტრატეგიული მდებარეობა; 3 - რელიგიური ნიშნით ხალხის გამოყოფა იყო პროვოცირებული, რადგან ქრისტიან და მუსლიმ მოსახლეობაში არ იყო ურთიერთობის პრობლემა; 4 - ოსმალეთის იმპერია გადასახლებულებს პირდებოდა გარკვეულ პრივილეგიებს და რუსეთთან მიმართებაში მოსახლეობას უნერგავდა შიშს; 5 - ოსმალეთს სურდა მშრომელი, მეზრძოლი და ერთგული ხალხით შეევსო შიდა ტერიტორიები; 6 - ოსმალეთის იმპერიისათვის რელიგია იყო მალიპულაციის საშუალება მუსლიმ მოსახლეობაში. თავისთავად, ისლამის მიმდევარი ხალხი არ მიდიოდა უცხო და თანაც ქრისტიან ქვეყანაში (ჩოხარაძე მ. 2016) .

მაღხაზ ჩოხარაძეს კვლევის ფარგლებში თურქეთში მოგზაურობის დროს ერთ-ერთმა მოხუცმა ქალაქ ბურსის სოფ. თუფექჩიქონაქიდან უთხრა: „მართალია, დიდი საქართველო (საქართველო როგორც ქვეყანა, სახელმწიფო) დავიწყებოდა („გურჯისტანი დევლეთი არისო, ვინმემ არ იცოდა, დედა-ენა და ანბანი გვაქო - ვინმემ არ იცოდა, სამი-ოთხი კაცი თუ იქნებოდა ამის მცოდნე...“ მაგრამ ავტორის თქმით ბევრის მეხსიერებაში იყო შემორჩენილი „ვათანის“ (თურქ. სამშობლო) დეღე და ხეობა, „ბათომი“ და „აჯარა“ [ჩოხარაძე მ. 2016:23].

ჩვენებურების, იგივე თურქეთში მცხოვრები ქართველების წარმომადგენელი საკუთარ სტატიაში ძალიან თამამად აკრიტიკებს თურქეთს გატარებული პოლიტიკის გამო. ერდოღან შენოლი (ერეკლე დავითაძე) საუბრობს თურქეთის ასიმილაციურ პოლიტიკაზე, რომელმაც თავიდანვე განსაზღვრა ერთი ენის (თურქული) და ერთი ტიპის ადამიანის (თურქი) არსებობა თურქეთის სახელმწიფოს შიგნით. სხვა დანარჩენი კი აკრძალა. ავტორის თქმით, თურქეთის სახელმწიფომ საზღვრისპირა ტერიტორიებზე დაამყარა კონტროლი და არც თუ ისე დიდი სიხარულით იღებდა ვიზიტორებს საქართველოდან (შენოლი ე. 2016).

ზემოთ მოცემულ ფაქტებთან ერთად გვსურს გაჩვენოთ, რომ ე.წ „გათურქების“ პოლიტიკა იყო სახელმწიფოს მიერ გატარებული. თვალსაჩინოებისათვის გვსურს მოვიყვანოთ ციტატა ამავე სტატიიდან: „1930 წელს დედაქალაქ ანკარაში ეროვნული მთავრობის იუსტიციის მინისტრმა, მაჰმუდ ესად ბოზქურთმა თქვა: „...სუფთა ეთნიკური თურქების გარდა, სხვა ადამიანებს ამ ქვეყანაში შესაძლებლობა აქვთ იყონ მხოლოდ მსახურები და მონები, ეს სიმართლე კარგად გაიგოს ყველა მეგობარმაც, მტერმაც და თვით მთებმაც კი!“ [შენოლი ე. 2016.].

ამ ყველაფერმა ერთად გამოიწვია ეროვნული იდენტობის ნიშნების რღვევა. საბოლოო ჯამში, თურქეთმა მიიღო ის შედეგი რაც სურდა: ადგილობრივებთან სრულად ასიმილირებული თურქეთის მოქალაქე, რომელსაც მხოლოდ სიტყვა „ჩვენებური“ ასხენებს ისტორიულ სამშობლოს და ფესვებს. თუმცა, აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ბოლო წლებში ეთნიკურად ქართველები აქტიურად ერთვებიან ქართული კულტურის ცენტრების ფუნქციონირებაში, რომლებიც მდებარეობს ქ. სტამბოლში, ბურსაში, საქარიაში, ბათუმში და ა.შ

1.1 ისტორიის ინტერპრეტაციის თეორიული ასპექტები

ბევრი განმარტება არ სჭირდება იმას, თუ რა მნიშვნელობის მატარებელია ისტორია და საერთო მითები ერისათვის. ამის საილუსტრაციოდ დაუსრულებლად შეიძლება მაგალითების მოყვანა ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილებიდან. ძალიან მოკლე და ლაკონურია ილია ჭავჭავაძის სიტყვები მისი მოკლე წერილიდან „ერი და ისტორია“: „ყოველი ერი თავისის ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თავისის სულის ღონეს, თავისის სულის ბგერას, თვის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას. ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალეხს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა (ჭავჭავაძე ი. 2012:3)

ილია ჭავჭავაძის აზრით, პიროვნებად არ შეიძლება ჩაითვალოს ის კაცი, ვინც არ იცის თავისი ქვეყნის ისტორია, არ იცის თუ საიდან მოდის მისი ერი და სად მიდის. მისი თქმით, ბევრი ერია, რომელთაც არ აქვთ ისტორია. ასეთ ერს ილია ჭავჭავაძე უბინაო კაცს ამსგავსებს (ჭავჭავაძე ი. 2012)

წერილობითი წყაროების საშუალებით დღემდე მოაღწია ქართველი ხალხის ისტორიამ, რომელიც უხსოვარი დროიდან იღებს სათავეს. ჩვენ კი საბოლოო ჯამში მივიღეთ მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებითა და კულტურით მდიდარი ისტორია . ისტორია გვთავაზობს ფაქტებისა და მოვლენების უტყუარ ან სავარაუდო კრებულს, ხოლო დასკვნების გამოტანის საშუალებას გვამძლევს ჩვენ.

„ისტორიის, როგორც პოლიტიკის რესურსის გამოყენება არაერთ საუკუნეს ითვლის. შესაბამისად, გაძლიერდა მისი საზოგადოებაზე ზეგავლენაც დროთა განმავლობაში გაფართოვდა და დაიხვეწა მისი გამოყენების სტრატეგია. ის შესაძლებელია ჩართულ იქნას, როგორც მმართველი ძალის ლეგიტიმაციის, ან პირიქით - არალეგიტიმურად გამოცხადების, ერის კონსოლიდაციის, მტრის წინააღმდეგ ბრძოლის და სხვა არაერთ პროცესში. ხოლო პოლიტიკოსების ძალისხმევა, საზოგადოებაში შექმნან კონკრეტული მოვლენის ხსოვნა ან ხელი შეუწყონ მის დავიწყებას სხვადასხვა რესურსების გამოყენებით, არის ის ფენომენი, რასაც მეხსიერების პოლიტიკას უწოდებენ „ [თ.ქარაია,2015: 5]

როგორც ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გურამ ყორანაშვილი ამბობს, ჩვენი წინაპრები ბევრს წერდნენ ისტორიაზე. მიიჩნევდნენ მას გაზვიადებულად ან მას აყენებდნენ მითოლოგიურ ეტაპზე. ყორანაშვილის აზრით, სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ქართველებს გვაქვს ისტორია, რომელსაც აქვს თავისი ტრადიცია. ავტორი მიიჩნევს ასევე, რომ საბჭოთა პერიოდში სკოლებში გაყალბებული ისტორია ისწავლებოდა და არც არსებობდა საზოგადოებაში სწორი წარმოდგენა ისტორიაზე. ყორანაშვილი ამ საკითხში დამნაშავედ მხოლოდ საბჭოთა კავშირს არ მიიჩნევს, რადგან მოცემული რეჟიმის დასრულებიდან უკვე დიდი ხანი გავიდა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მოხდა ისტორიის ახლებურად გააზრება (ყორანაშვილი გ. 2012).

„ისტორიოგრაფიის პრობლემა მხოლოდ ისტორიის შემეცნების პრობლემა კი არ არის, იგი გადაჯაჭულია უმაღლეს სასწავლებლებზე და აისახება საჯარო სკოლების დონეზეც, ეს სამი სტადია ერთმანეთზეა გადაჯაჭული. ძალიან კარგია, რომ ავტორები ინიციატივას იჩენენ და წერენ ისტორიის სახელმძღვანელოებს. მაგრამ ყველას მოვუწოდებ, თუ მართლა შესტკივით გული ამ დარგზე, არის რიგი საკითხებისა, რაზეც უნდა მოეწყოს დისკუსიები, შეჯერდეს აზრი და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მათი დანერგვა სასკოლო და სხვა დონეზე“. [გ. ყორანაშვილი 2012]

გურამ ყორანაშვილის სიტყვები საქართველოს შესახებაა და მეტად მნიშვნელოვან საკითხს ეხება, თუ რომელ ისტორიაზე უნდა გაიზარდოს ქართველი მოსწავლე. ამავე საკითხით, ოღონდ თურქეთში მცხოვრებ ქართველებზე და მათ შთამომავლებზე არავინ დაინტერესებულა თუ რა ისტორიას სწავლობენ. ენის ბარიერის გამო ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი ისტორიის თურქული სახელმძღვანელოები, თუმცა თურქეთში ჩასულ მკვლევართა ნაშრომებმა და საქართველოში „ჩამოტანილმა“ ამბებმა, რომ „ჩვენებურებმა“ არ იცოდნენ საქართველოს შესახებ, ვერ დააყენა ეს საკითხი დღის წესრიგში. თუმცაღა, თურქეთის სახელმწიფო მკაფიოდ იჩენს ინიციატივებს საქართველოს მიმართ და ბუნებრივად მიიჩნევს ჩაერიოს პარლამენტის საქმიანობაში. იგულისხმება თურქეთის საელჩოს მიმართვის მერე კანონპროექტის შეჩერება 12 აგვისტოს დიდგორობის ოფიციალურ უქმე დღედ გამოცხადების თაობაზე, რომელიც საელჩოს აზრით, გარკვეულ უსიამოვნებებს შეიტანს ორი ქვეყნის ურთიერთობაში, რადგან ეს

დღე არის თურქეთის დამარცხების დღე (ავალიანი გ. 2017) . და ეს ყველაფერი ხდება იმ დროს, როდესაც თურქეთი 7 მარტს აღნიშნავს ქალაქ ართვინის განთავისუფლებას დამპყრობელი მტრისგან (Doğanay Ö. 2018). თავად ეს მოვლენებია იმის მანიშნებელი თუ რა დამოკიდებულება აქვს თურქეთს მეზობელი ქვეყნისა და ისტორიული ფაქტებისადმი. ზემოთ მოცემული ისტორიული მოვლენა არის 1921 წელს ართვინის საქართველოს ტერიტორიისაგან 100 წლოვანი გამოყოფა, ხოლო თურქების მიერ გამოყვანილი მტერი ეს საქართველოა. თურქეთის სახელმწიფოს გატარებული იდეოლოგიის მიხედვით საქართველო არის დამპყრობელი, რომელმაც მოახდინა ბათუმის ოკუპაცია და ამის არა მარტო თურქებს, არამედ ეთნიკურად ქართველებსაც სჯერათ. მაგრამ ეს არ არის მოსახლეობის დანაშაული. ესაა თურქეთის დანაშაული, რადგან სკოლებიდანვე ამ ინფორმაციით და იდეოლოგიით ზრდის თაობებს. საბოლოო ჯამში კი კონკრეტულად ამ ისტორიული ფაქტის ინტერპრეტაციას მივყავართ დეზინფორმაციის გავრცელებამდე. ამ საკითხებს ვრცლად შემდგომ თავებში განვიხილავთ.

„მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ ევროპის კონტინენტზე მესხიერების პოლიტიკის, როგორც პოლიტიკის დღის წესრიგის უცვლელი ნაწილის გაჩენა 1945 წელს მეორე მსოფლიო ომის დასრულებას, ახალი მსოფლიო პოლიტიკური წესრიგის შექმნას და ევროპაში ახალი იდენტობების წარმოშობა-დამკვიდრებისათვის სახელმწიფოებს შორის გამართულ ბრძოლას უკავშირდება“ . [თ. ქარაია, 2015: 7]

ისტორიის ინტერპრეტაციის მიზეზი სხვადასხვა შეიძლება იყოს. მაგალითად, ის შეიძლება იყოს დაკავშირებული საზიარო ისტორიის განსხვავებულ ვერსიებთან. ეს, ერთი მხრივ, საინტერესოცაა და დამაბნეველიც. საინტერესო იმდენად, რამდენადაც ახლებურ გააზრებას გვთავაზობს პრაქტიკაში დანერგილი საკითხებისადმი. ბუნდოვანების შეგრძნება კი ჩნდება მაშინ, როდესაც თავდაყირა დგება უკვე არსებული ცოდნა და გადამოწმების საშუალებაც მინიმუმამდეა, რადგან საქმე შეიძლება ეხებოდეს მრავალი საუკუნის წინანდელ ფაქტებს.

ისტორია გადაჯაჭვულია ნაციონალურ იდენტობასთან. ენტონი დ. სმითი ნაციის ამ დასავლურ მოდელს „სამოქალაქო“ მოდელსაც უწოდებს. სხვა ბევრი უცხოელი და ქართველი ავტორების მსგავსად, ნაციონალური იდენტობის ერთ-ერთი მთავარი

შემადგენელი ნაწილია ისტორიულ-კოლექტიური მეხსიერება, რომელიც პიროვნებას მიაკუთვნებს განსაზღვრულ სოციალურ სივრცეს და საერთო მითებს. თანაც, ეს არის შეგნება იმისა, რომ ეს სივრცე არ არის უბრალო მიწის ნაკვეთი, არამედ „ისტორიული“ მიწა-წყალი და „სამშობლო“. სამშობლო ხდება ისტორიული მეხსიერების ერთი დიდი საცავი, რომელშიც არიან წმინდანები და გმირები, მოღალატეები და ბრძენები... ყოველივე აქედან გამომდინარე, თითოეული ადამიანი ამ მიწას უკავშირებს რაღაც საკრალურს, სადაც ყველაფერი მნიშვნელოვანი და აღმაფრთოვანებელია. ყოველივე ამის შემდეგ უკვე დგება ჯერი პოლიტიკური ერთობის წევრთა საერთო კანონებისა და სამართლებრივი თანასწორობისა. მარტივად რომ ვთქვათ, ნაციებს აქვთ საერთო კულტურა, იდეოლოგია, განათლების სისტემა, ისტორიული მეხსიერება, სამართლებრივი კანონები და ტერიტორია (სმითი ე. 2008).

ნაციაზე საუბრისას სმითი ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რელიგიას, რომელსაც აქვს საკუთარი რეფორმები და ის თავის მხრივ ქმნის ისტორიის ინტერპრეტაციას. რელიგიას საფუძვლად უდევს ეთნიკური თვითგადარჩენისა და რეფორმატული მოძრაობა (სმითი ე. 2008).

ისტორიის ინტერპრეტაციის საჭიროება, თურქეთში მაგალითად, მოიტანა მრავალეთნიკურობამ. ოსმალეთის იმპერიამ თავისი სიძლიერის ხანაში ძალიან ბევრჯერ გაარღვია მოსაზღვრე ქვეყნების საზღვრები, რასაც შედეგად მოჰყვა ადგილობრივი მოსახლეობის გადასახლებებისა და ტერიტორიის დაპყრობის ეტაპები. შესაბამისად, თურქეთის მიწაზე თავი მოიყარა 67-მა ეთნიკურმა უმცირესობამ (Türkiye'de kaç milletten insan var? 2011) , რომელთაგანაც სხვებთან ერთად რიცხობრივად დიდი რაოდენობით გამოირჩევიან ქართველები (3 მლნ-მდე) და ლაზები (1.6 მლნ-მდე) (Türkiyedeki azınlıklar ინტერნეტ წყარო 10) . აქედან გამომდინარე თურქეთის სახელმწიფოს წინაშე დადგა ამოცანა თუ რა სახის ინფორმაციით უნდა უზრუნველყოს და გაზარდოს ახალი თაობა, რომ გახადოს თურქეთისათვის გამოსადეგი მოქალაქე, რომელსაც არ ექნება პრეტენზია და უსამართლობის განცდა (როგორც არიან მაგალითად ქურთები) და ქვეყანაში არ შექმნიან აურზაურის საფრთხეს.

ისტორიის მიზანმიმართული შეცვლისა თუ გაყალბების ფაქტები მრავლად მოიძებნება წარსულში. ის თუ რამ განაპირობა კოლექტიური მეხსიერების

ფორმირება კვლევები აჩვენებს, რომ მიზეზთა შორისაა: განსხვავებული ინფორმაციების არსებობა, დაპყრობილი სახელმწიფოების განთავისუფლება და ა.შ. დამოუკიდებელი სახელმწიფოების მშენებლობის პროცესში საზოგადოების გასაერთიანებლად უმთავრესი ეტაპია საერთო მეხსიერება, საერთო მითები, გამორჩეული პიროვნებების გმირებად, ხოლო სამარხვინო პიროვნებების მოღალატეებად შერაცხვა. საზოგადოების გასაერთიანებლად ასევე აუცილებელი ელემენტია საერთო ენა და საერთო დღესასწაულები (სმიტი ე. 2008).

თავი II. საქართველოს ადგილი თურქეთის სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოებში

მოცემულ თემაზე კვლევის ჩასატარებლად მოძიებულ იქნა თურქეთიდან ისტორიის სახელმძღვანელოები, რომლებიც აკრედიტებულია თურქეთის განათლების სამინისტროს მიერ. როგორც შესავალ ნაწილშივე აღვნიშნეთ, ისტორიის სახელმძღვანელოები დღემდე არავის განუხილავს ენის ბარიერის გამო. შესაბამისად, აქამდე ჩვენთვის უცნობი იყო, თუ რა სახის ინფორმაციას აწვდის საქართველოზე თურქეთის სახელმწიფო სკოლის მოსწავლეებს.

თურქეთის სკოლებში ისტორიის შესწავლა მე-4 კლასიდან მე-12 კლასის ჩათვლით მიმდინარეობს. კვლევის ფარგლებში შეისწავლეთ თურქეთის სკოლის რვა ისტორიის წიგნი, რათა გაგვეანალიზებინა საქართველოს აღქმა თურქეთის მოსახლეობაში, მათ შორის ეთნიკურად ქართველებში.

ზემოთ განხილული საკითხებიდან გამომდინარე გასაკვირი ფაქტი აღარაა, რომ თურქეთის სახელმწიფო საკმაოდ სიტყვაძუნწია მეზობელ საქართველოზე საუბრისას. არ დაგვავიწყდეს, რომ ამ ისტორიას თურქ მოსახლეობასთან ერთად სწავლობს ეთნიკურად ქართველი მოსახლეობაც, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, საუკუნეების წინ გარკვეული პოლიტიკური ძალის მიერ გადასახლდნენ თურქეთის სხვადასხვა ნაწილში. შესაბამისად, თურქეთის როგორც მრავალეთნიკური ქვეყნის ინტერესებში არ შედის მის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური კონფესიებისადმი, მაგ.: ქურთები, ლაზები, ქართველები, ჩერქეზები, ალბანელები, არაბები და სხვ. , სრული ინფორმაციის მიწოდება.

საქართველოს ადგილს თურქული სკოლის სახელმძღვანელოებში განვიხილავთ რამდენიმე კატეგორიის მიხედვით: ა) გეოგრაფიული მდებარეობა; ბ) ეკონომიკური პარტნიორობა; გ) ხელშეკრულებები; დ) დაპყრობები და ბრძოლები;

2.1 გეოგრაფიული მდებარეობა

საქართველო თურქეთის სკოლის სახელმძღვანელოებში პირველად მოხსენიებულია მე-4 კლასის სახელმძღვანელოში, რომელსაც სოციალური

მეცნიერებები ჰქვია. დაწყებითი კლასის მოსწავლეები ზოგად ცოდნას იღებენ მოხსენიებული სახელმძღვანელოდან მეზობელი ქვეყნების შესახებ.

თურქეთის სახელმწიფო საქართველოზე, როგორც გეოგრაფიულ მეზობელზე საუბრისას შემოიფარგლება მხოლოდ შემდეგი ინფორმაციით:

თურქეთს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება საქართველო. მოსახლეობა დაახლოებით უტოლდება 4 მილიონს. დედაქალაქი არის თბილისი. საქართველოსა და ჩვენ შორის ყველაზე აქტიური წერტილი არის ართვინის რეგიონში არსებული სარფის კარი. ამ ორი ქვეყნის მოსახლეობას ამ კარის გავლით და მხოლოდ პირადობის მოწმობის გამოყენებით ძალიან მარტივად შეუძლიათ მოგზაურობა. ასევე, გეოგრაფიულად სტრატეგიული მდებარეობის სიკეთე მჟღავნდება იმაში, რომ თურქეთს, აზერბაიჯანსა და კავკასიას შორის არსებული სატრანზიტო გზის დიდი ნაწილი დაკავშირებულია საქართველოსთან (Tüysüz,S.2018)

მე-7 კლასის ისტორიის სახელმძღვანელოში საქართველო ნახსენებია ისევ მხოლოდ გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე საერთო საზღვაო სანაოსნო კუთხით. საქართველოსთან ერთად ჩამონათვალში არის: სირია, ერაყი, ირანი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ბულგარეთი და საბერძნეთი (Gültekin, G. Akpınar,M. Nohutcu,M. Özerdoğan.F.Aygün, S. 2018)

2.2 ეკონომიკური პარტნიორობა

„საქართველო თურქეთისათვის არის ყველაზე დიდი სავაჭრო პარტნიორი და ამასთანავე, თურქეთის მხრიდან ყველაზე დიდი რაოდენობით ინვესტიციის ჩასადები ქვეყანაა. თურქეთიდან საქართველოში ხორციელდება პლასტმასის მილების, ჰიგიენის საშუალებების, სამედიცინო მედიკამენტების და სამშენებლო მასალების ექსპორტი. ამის სანაცვლოდ ხდება ქიმიური სასუქებისა და ფოლადის შექმნა“ [S.Tüysüz, 2018:179] .

„აზერბაიჯანის ნავთობი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მილის საქართველოზე გავლით ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე შემოდის. ეს ყველაფერი ეხმარება ჩვენ შორის არსებული თანამშრომლობისა და ურთიერთობის ყველა სფეროს გაძლიერებას“ [S. Tüysüz, 2018:179] .

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტია, თუმცა არაა საუბარი თურქეთის სახელმწიფოსაგან კიდევ ერთ მნიშვნელოვან პროექტზე - ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალზე, რომელიც კიდევ უფრო დაახლოებს და გააუმჯობესებს სამივე სახელმწიფოს ეკონომიკას, ასევე, კიდევ უფრო გაამარტივებს მიმოსვლას.

ამავე სახელმძღვანელოში საქართველო ნახსენებია მხოლოდ ერთი სიტყვით შემდეგ მონაკვეთში: „ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის იგივე ტრასეკას (იგივე ინგლ. Transport Corridor Europe-Caucasus-Asia) მიზანია შავ ზღვას, კავკასიასა და შუა აზიას შორის საერთაშორისო ურთიერთობის გაფართოება, რომელიც პოლიტიკურ-ეკონომიკური წინსვლის მსურველი მთავრობების პროგრამაა. მასში გაერთიანებულია შემდეგი ქვეყნები: აზერბაიჯანი, ბულგარეთი, სომხეთი, საქართველო, ირანი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, მოლდოვა, რუმინეთი, ტაჯიკეთი, თურქეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი და უკრაინა“ [G. Gültekin, M. Akpınar, M. Nohutcu, F.Özerdoğan. S. Aygün, 2018:226].

ტრასეკა, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ საერთაშორისო ლოჯისტიკურ კომპანიას, შედგება 14 წევრი ქვეყნისა და ევროკავშირის წევრი 28 ქვეყნისაგან. წევრ ქვეყნებს აქვთ საშუალება უსაფრთხოდ და მოკლე დროში განახორციელონ სასარგებლო წიაღისეული, ნედლეული, მადანის, ნავთობის, მეტალისა თუ სხვა მასალის ტრანსპორტირება. თურქეთის სკოლის სახელმძღვანელოები მხოლოდ ზედაპირულ ცოდნას აძლევს მოსწავლეს ზოგადად განხილული საკითხებით. თუმცა, ქართული ისტორიის წიგნებში საერთოდ არაა საუბარი ამ საკითხზე.

2.3 ხელშეკრულებები

„ოსმალეთსა და რუსეთს შორის 1768 წელს დაწყებული ყირიმსა და შავ ზღვაზე ბრძოლები 1774 წელს ხელმოწერილი ხელშეკრულებით დაბოლოვდა. რუსეთი მუდმივად ყირიმის სახანოს შიდა საქმეებში ერეოდა და 1783 წელს დაიპყრო. რუსეთმა შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე ააშენა ციხე სიმაგრეები და

საქართველოც თავისი მფარველობის ქვეშ მოაქცია“ [Laçin, A. Önal, B. Demir, B. Erdem, E. Kaplan, M. Arıca, M. Güniğdu, S. Aydemir, V. Karakaya, Y. Çakmak. Y. 2018: 37]

მოცემული მასალა აღწერს ოსმალეთსა და რუსეთს შორის 1774 წელს მომხარ ომს, სადაც რუსეთის მხარეს იბრძოდნენ ქართველი მეფეები ერეკლე II და სოლომონ I, რომელიც დაგვირგვინდა კუჩუკ კაინარჯში დადებული ზავით. რაც შეეხება რუსეთის მფარველობის ქვეშ მოხვედრას, მოცემული სახელმძღვანელო გულისხმობს გეორგიესკის ტრაქტატით რუსეთის ნაკისრ ვალდებულებას საქართველოსადმი (სვანიძე მ. 2007). ამ ფაქტების განხილვას ქართული სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოებში დიდი ადგილი ეთმობა.

1877-1878 წლებში ოსმალეთსა და რუსეთს შორის ომზეა საუბარი, სადაც რუსეთის მიზნებს შორის დასახელებულია ბათუმის, ყარსის, არდაჰანის და ერზრუმის ხელში ჩაგდების და შავ ზღვაზე სრულად კონტროლის სურვილი. აღწერილია ბრძოლა ამ ტერიტორიებისათვის, რომელიც რუსეთის გამარჯვებით სრულდება. სანსტეფანოს და ბერლინის ზავით 1878 წელს ყარსი, არდაჰანი რუსეთს დარჩა (Laçin, A. Önal, B. Demir, B. Erdem, E. Kaplan, M. Arıca, M. Güniğdu, S. Aydemir, V. Karakaya, Y. Çakmak. Y. 2018: 102-105)

1877-1878 წლებში რუსეთსა და ოსმალეთს შორის წარმოებული ომებითა და ზავებით ყარსის, არდაჰანისა და ბათუმის 40 წლიანი ტყვეობა დაიწყო. ამ შეთანხმებების შემდეგ რუსეთმა კავკასიაში მცხოვრები 100 000-ობით მუსულმანი თურქი ანატოლიაში გაასახლა (Laçin, A. Önal, B. Demir, B. Erdem, E. Kaplan, M. Arıca, M. Güniğdu, S. Aydemir, V. Karakaya, Y. Çakmak. Y. 2018: 117)

ბათუმის 40-წლიან ტყვეობაში იგულისხმება ბათუმის თავისუფალ ნავსადგურად გამოცხადება. ძალიან სადავოა იმ ფაქტის სისწორე, რომ თურქეთის სახელმწიფოში 100 000 მუსულმანი თურქი გადასახლდა. აქ იგულისხმება ადგილობრივი გამუსლიმებული ქართველი მოსახლეობა, რომელსაც რუსეთისა და თურქეთის მიერ გატარებული პოლიტიკით სარწმუნოებიდან გამომდინარე თურქს ეძახდნენ, თუმცა ისინი არა თურქები, არამედ ქართველები იყვნენ აჭარიდან, შავშეთიდან თუ კლარჯეთიდან. დღემდე ამ მოსახლეობას „ახისხელ თურქებს“ ანუ

ახალციხელ თურქებს უწოდებენ. წინააღმდეგობრივი ტერმინებია „ახალციხელი თურქები“, „თურქი მესხები“ და ა.შ. (ფუტკარაძე ტ. 2015)

1917 წლის რუსეთის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ბოლშევიკების ჯარი დაიშალა და ოსმალეთ-რუსეთის ჯარს შორის შეტაკება აღარ მომხდარა. რუსის ჯარმა ტერიტორია დატოვა და იარაღი სომხებსა და ქართველებს დაუტოვა ოსმალეთთან საბრძოლველად. რუსის ჯარისაგან დარჩენილი 120 000 სომეხი ჯარისკაცი ცდილობდა სომხური გარნიზონების გაძლიერებას, რაშიც ბოლშევიკებისაგან მხარდაჭერა მიიღეს. მიზანი კი დიდი სომხური სახელმწიფოს შექმნა იყო. 1917 წლის შემდეგ ქართველებმა და სომხებმა თავდასხმები დაიწყეს. 1918 წლის 3 მარტს ბრესტ ლიტოვსკის ზავით ყარსი, არდაჰანი და ბათუმი ოსმალეთს დაუბრუნდა (Çevik, A. Koç, G. Şerbetli. K. 2018: 36).

გარდა ბრესტ ლიტოვსკის ზავისა, დანარჩენ ფაქტებზე არ არის საუბარი ისტორიის ქართულ სახელმძღვანელოებში.

მოსკოვის ხელშეკრულება (16 მარტი 1921)

მოსკოვის ხელშეკრულების მიხედვით:

- საბჭოთა კავშირმა ბათუმის საქართველოსათვის დატოვების პირობით სცნო ეროვნული პაქტი.
- ყარსი, არდაჰანი და ართვინი თურქეთს, ბათუმი საქართველოს, ხოლო ნახიჭევანი აზერბაიჯანს დარჩა (Ç. Ataş, U. Ataş. 2018: 81).

ყარსის ხელშეკრულება (13 ოქტომბერი 1921)

აზერბაიჯანს, სომხეთსა და საქართველოს შორის 1921 წლის 13 ოქტომბერს ხელი მოეწერა ყარსის ხელშეკრულებას. ამ შეთანხმებაში შუამავლის როლი საბჭოთა კავშირმა გასწია. მოსკოვის ხელშეკრულების მიზნების მატარებელი და კავკასიის სამ რესპუბლიკას შორის მეგობრული შეთანხმების მსურველი დოკუმენტი მოიცავს შემდეგ პუნქტებს:

- არდაჰანი სრულად თურქეთს გადაეცა.

- გადაწყდა ბათუმის საქართველოს ტერიტორიად დარჩენა.
- მხარეები არ განიხილავდნენ იმ შეთანხმებებს, რომლებიც მიღებული იქნებოდა ერთმანეთზე ზემოქმედების შედეგად.
- აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი არ მიიღებენ იმ სამშვიდობო ხელშეკრულებას, რომელსაც არ სცნობს თურქეთი.
- სრუტეებს გამოიყენებდნენ სავაჭრო სფეროს გასაძლიერებლად, სტამბოლის უსაფრთხოება უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი ყოველი მხარის ინტერესებისათვის.

ყარსის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ აღმოსავლეთ საზღვრები და თურქეთში დარჩენილი ტერიტორიების ბედი სრულად გაირკვა. ამის შემდეგ, კი თავდაცვითმა ძალებმა თურქეთის დასავლეთით გადაინაცვლა (Ç. Ataş, U. Ataş. 2018: 92).

ყარსის ხელშეკრულებით, რომელიც 100 წლის ვადითაა დადებული, განსაზღვრა და ჩამოაყალიბდა საქართველოსა და თურქეთის საზღვრები, რომლებიც ამდენი წლის ბრძოლის მიზეზს წარმოადგენდა. ყარსის ხელშეკრულება იყო მოსკოვის ხელშეკრულების ანალოგი. მსგავსება იყო იმ კუთხითაც, რომ ორივე ხელშეკრულების დადებაზე მოქმედი ფიგურა იყო რუსეთი და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, კერძოდ, ძირძველი ქართული სამხრეთ-დასავლური მიწების თურქეთისათვის გადაცემა არ შეესაბამებოდა ქართული მხარის სურვილსა და მოთხოვნას. (სვანიძე მ. 2007)

2.4 დაპყრობები და ბრძოლები

მე-11 საუკუნის შუახანებში ოსმალებისა და ბიზანტიის ბრძოლა - თულრულ ბეის მიერ შეკრებილ სელჩუკთა დიდი რაზმის წინააღმდეგ ბრძოლას ვერ ბედავდნენ ბიზანტიის ქართული და ვანის გუბერნიები. ამიტომაც იმპერატორისაგან დახმარებას ითხოვდნენ. სელჩუკებმა ლიპარიტის მეთაურობით შეკრებილი ქართულ-ბიზანტიური ჯარი 1047 წლის 18 სექტემბერს დაამარცხეს (yüksel, E. kapar, M. A. Bildik, F. Şahin, K. Şafak, L. Ardiç, M. Bağci, Ö. Yıldız. S. 2018: 193).

მე-11 საუკუნეში ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ფაქტებია და ბრძოლებია თურქეთსა და საქართველოს შორის, თუმცა თურქეთის ისტორია საქართველოს ხსენებაში მხოლოდ ბიზანტიის დაქირავებული ჯარით შემოიფარგლება.

„თულრულ ბეის შემდეგ მისი ძმა ჩადრი ბეის შვილი ალფ არსლანი 1063 წელს ავიდა ტახტზე. მისი ბიძა ალფ არსლანი დასავლეთში აგრძელებდა საკუთარი პოლიტიკის გატარებას. საქართველოზე გაილაშქრა და ანატოლია ხელში ჩაიგდო. დაიკავა ბიზანტიის აღმოსავლეთით არსებული ყველაზე მნიშვნელოვანი ციხეებიდან ერთ-ერთი ანისი“ [yüksel, E. kapar, M. A. Bildik, F. Şahin, K. Şafak, L. Ardiç, M. Bağci, Ö. Yıldız. S. 2018: 194].

ალფ-არსლანი ერთ-ერთი ძლიერი და სასტიკი მმართველი საქართველოში ორჯერ შემოვიდა 1064 და 1068 წლებში (სვანიძე მ. 2007), თუმცა თურქულ წყაროებში ამას ვერსად ვხვდებით.

„სულთანი მალიქშაჰის პერიოდში სელჩუკების ტერიტორიული საზღვრები დასავლეთიდან აღმოსავლეთამდე გაფართოვდა. საქართველო, იერუსალიმი, სირია, იემენი დაპყრობილ იქნა“ [yüksel, E. kapar, M. A. Bildik, F. Şahin, K. Şafak, L. Ardiç, M. Bağci, Ö. Yıldız. S. 2018: 196].

სულთან მალიქშას ლაშქრობებს ძალიან ვრცლად აღწერს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. სულთანმა მოიპოვა დიდ გამარჯვებები, დაიკავა და ააოხრა სამშვილდე, თურქების გაძლიერებამ გამოიწვია ბიზანტიელთაგან სამხრეთის დაცარიელება და ა. შ. (სვანიძე მ. 2007) თუმცა, თურქული წყაროები კვლავაც ერთი სიტყვით შემოიფარგლებიან.


სელჩუკებსა და მონღოლებს შორის ბრძოლაში 1230-იან წლებში ბრძოლებით დასუსტებულმა სულთანმა ქეიქუბადმა საერთო მტრის წინააღმდეგ დასახმარებლად მოიხმო მუსულმანებიც და ქრისტიანებიც. კაისერში საომრად გამზადებული ჯარი სელჩუკების მიერ შეკრებილ ჯარში იყვნენ ქართველი დაქირავებული ჯარისკაცები. ყველა ერთად შეადგენდა 80 000 ჯარისკაცს (yüksel, E. Kapar, M. A. Bildik. F. 2018: 38)

ამ საკითხზე არაფერი გვხვდება საქართველოს ისტორიის სკოლის სახელმძღვანელოებში.

სელიმ პირველის (ოსმალეთის მე-9 სულთანად და მრისხანედ წოდებული) პერიოდი 1512- 1520 (სვანიძე მ. 2007): „პრინცმა სელიმმა ირანისა და საქართველოს საზღვრად არსებულ ტრაპიზონზე იერიში მიიტანა. ტრაპიზონის სანჯაყის პარალელურად სეფიანებისა და ქართველების წინააღმდეგ მუდმივად იბრძოდა“ (yüksel, E. Kapar, M. A. Bildik. F. 2018:134)

მე-16 საუკუნის დასაწყისში ქართულ ისტორიაში საუბარია ოსმალთა თავდასხმებზე, რომელთაც საქართველოში, კერძოდ, იმერეთისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე შემოაღწიეს სამცხედან მისი მთავრების ღალატის შედეგად. ეს არის ის მოვლენა, რასაც თურქეთის ისტორია ზემოთ მოცემულ მონაკვეთში ასახავს.

დამატებით თვალსაჩინოებისათვის თურქულ სახელმძღვანელოებში მოცემულია რუკები. ერთ-ერთი მათგანი ქვემოთ არის წარმოდგენილი. მე-16 საუკუნის თითქმის ბოლომდე თურქეთსა და ირანს შორის ბრძოლა საქართველოს ხელში ჩასაგდებად, რასაც 1555 წელს მოჰყვა ამასიის ზავი და ორ დაპირისპირებულ მხარეზე საქართველოს გაყოფა.



Harita 2.6: Osmanlı Devleti'nin Akdeniz Hâkimiyeti (1480-1571)

თავი III. ორი ქვეყნის სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოების ანალიზი

3.1 გეოგრაფიული მდებარეობა

გეოგრაფიული მდებარეობის აღწერისას ქართული ისტორიის წიგნები (თურქულისგან განსხვავებით) საკმაოდ მარტივად და გასაგებად გადმოგვცემს ამჟამინდელი და ისტორიული საზღვრების მონაცვლეობას. მაგალითად: აჭარას სამი მხრიდან აკრავს აჭარა-გურიის, არსიანის და შავშეთის ქედები, სამხრეთით ესაზღვრება თანამედროვე თურქეთი. წარსულში ამ ტერიტორიაზე საქართველოს ისტორიული მხარეები შავშეთ-კლარჯეთი მდებარეობდა. ასევე, ლაზეთზე საუბრისას ავტორები დასძენენ, რომ ლაზეთი წარსულში საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე იყო (თოფჩიშვილი, რ. მექმარიშვილი, ე. ელიზბარაშვილი ნ. ავთანდილაშვილი გ. 2018).

ქართული სახელმძღვანელო მეოთხე კლასის მოსწავლისათვის ანალიზის გასამარტივებლად და ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად თურქეთს საქართველოზე 11-ჯერ სიდიდით მეტს უწოდებს. უკვე შემდეგ მასალებში მას აღარ გააკვირვებს თურქეთის გამარჯვებით დასრულებული ბრძოლები და საკუთარი ქვეყნის დამარცხება.

თურქეთის სკოლის ისტორიის წიგნებიდან საკმაოდ რთულია მოსწავლემ დასკვნა გამოიტანოს თუ კონფლიქტური ტერიტორიები თავდაპირველად რომელი ქვეყნის შემადგებლობაში იყო. მათ შორის ინფორმაციას სრულად არც სახელმძღვანელოში თვალსაჩინოებისათვის დატანილი რუკები იძლევა (დანართი 1-5).

გარდა ამისა, თურქულ სახელმძღვანელოებში გაკვრით ნახსენები წყაროები საქართველოს შესახებ ტოვებს ძალიან უმნიშვნელო წარმოდგენას ამა თუ იმ ფაქტზე. მაშინ, როცა ქართული წყაროები ამ მოვლენებს უთმობენ მრავალ გვერდსა თუ თავს.

გეოგრაფიულ მდებარეობაში კიდევ საუბარია მრავალეთნიკურ თბილისზე, სადაც ყველა კონფესია (მათ შორის არიან მოხსენიებული თურქები) უკონფლიქტოდ ახერხებს თანაცხოვრებას (თოფჩიშვილი, რ. მექმარიშვილი, ე. ელიზბარაშვილი ნ. ავთანდილაშვილი გ. 2018).

3.2 ეკონომიკური პარტნიორობა

ქართული ისტორიის სახელმძღვანელო თურქულ მასალაზე უფრო მწირ ინფორმაციას გვაწვდის თურქეთისა და საქართველოს ეკონომიკური პარტნიორობის შესახებ. მხოლოდ კმაყოფილდება გაკვრით ნახსენები სავაჭრო კონტაქტით.

მე-12 კლასის სახელმძღვანელოში განხილულია თურქეთის XX-XIX საუკუნეების მდგომარეობა, ათათურქის რეფორმები და თურქეთის გადასვლა აღმოსავლური მოდელიდან მკვეთრად დასავლურ მოდელზე, ამასთანავე გახდა რა საერთაშორისო თანამეგობრობის წევრი ქვეყანა, შედეგად თურქეთმა უკვე დაიწყო ჩამოყალიბება სანდო და დემოკრატიულ სახელმწიფოდ მომიჯნავე ქვეყნებისათვის. (კილურაძე ნ. გაჩეჩილაძე რ. სანიკიძე გ. 2012).

3.3 ხელშეკრულებები

ქართული ისტორიის სახელმძღვანელოების მიხედვით, მაშინ როდესაც ოსმალეთის მღიერ იმპერიასთან ჭიდილს აზრი აღარ ჰქონდა, რადგან დამპრობითი ომები XI-XIX საუკუნეებში არა და არ სრულდებოდა, საჭირო გახდა რუსეთის იმპერიის ჩართვა. მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტების ისტორიაში გაჩნდა 1878 წლის რუსეთ-თურქეთის საზავო ხელშეკრულება, რომლითაც ბათუმი „პორტო ფრანკოდ“ იგივე თავისუფალ ქალაქად გამოცხადდა (ასათიანი, ნ. ლორთქიფანიძე მ. ლომაშვილი ფ. მეტრეველი რ. ოთხმეზური გ. 2012).

ამ ფაქტზე საუბარი თურქულ ისტორიაში ნამდვილად არის, უბრალოდ ქართული მხარის მიერ დანახული ბათუმის გათავისუფლების პერიოდი თურქეთის სახელმწიფოსგან ბათუმის ტყვეობის 40-წლიან ეპიზოდთან ასოცირდება.

რაც შეეხება დანარჩენ ხელშეკრულებებს, როგორებიცაა: ბრესტის ზავი, მოსკოვის ხელშეკრულება და ყარსის ხელშეკრულება ორივე მხარე ერთნაირი ობიექტურობით აღწერს მოცემულ შეთანხმებებს.

3.4 დაპყრობები და ბრძოლები

ომებისა და დაპყრობების ფაქტები კონკრეტულად თურქეთის შემთხვევაში იმდენად დიდია ქართული სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოებში, რომ ყველა მოვლენის მაგალითად მოყვანის საშუალებას არ იძლევა.

საქართველოს სკოლის ისტორიის წიგნები დეტალურად გადმოსცემენ მუჰაჯირობის ისტორიას ჯერ კიდევ აფხაზების გადასახლებას თურქეთში 1867 წლიდან და თვალსაჩინოებისათვის თანდართული ფოტომასალა (თოფჩიშვილი, რ. მეძმარიშვილი, ე. ელიზბარაშვილი ნ. ავთანდილაშვილი გ. 2018).

თურქები საქართველოს დაპყრობითი ომების ისტორიაში ჩნდებიან მე-6 საუკუნიდან, თურქულენოვანი ტომების ხაზარების სახით. ამასთანავე მთელი ისტორიის სწავლების პროცესში მოხსენიებულნი არიან თავ-თავისი ტომის სახელებით: ხაზარები, ჰუნები, პაჭანიკები, ყივჩაღები, ბოლღარები, თურქ-ოღუზები, ყირიმის თათრები, ბალყარელები, თათრები და ა.შ.

არაბების შემოსევებთან ერთად ფიქსირდება ამ და სხვა ტომთა სახელები. უკვე მე-11 საუკუნიდან საკმაოდ ძლიერი თურქ-სელჩუკები იწყებენ აქტიურ ბრძოლებს საქართველოს წინააღმდეგ. მნიშვნელოვანი მოვლენაა დიდი თურქობა და ქართულ-თურქულ ძალთა ჭიდილი, რომელმაც დიდხანს გასტანა (ასათიანი, ნ. ლორთქიფანიძე მ. ლომაშვილი ფ. მეტრეველი რ. ოთხმეზური გ. 2012).

ქართული ისტორიისათვის ისედაც ცნობილია თურქეთის, როგორც დამპყრობლის სახე. ქართული მხარე ცდილობს დაგვანახოს ყველაზე კონფლიქტური და სადავო ტერიტორიების თავდაპირველი ანალიზი. სადავო ტერიტორიათა ნუსხაში ვგულისხმობთ ძირძველ ქართულ მიწებს, რომლებიც უკვე მე-20 საუკუნეში გადავიდა თურქეთის მფლობელობაში და ამ მიწების დაკარგვა-დაბრუნების ისტორია თითქმის 100-წლიანი პერიოდით შეწყდა.

მაშინ, როდესაც თურქული მხარე საქართველოს მხოლოდ ეპიზოდურად და უმნიშვნელო პოზიციაში ახსნებს, ქართული ისტორია ოსმალეთსა და თურქ-სელჩუკებს მე-9, მე-11 და მე-12 კლასის სახელმძღვანელოებში ცალკე თავებს უთმობს „თურქ-სელჩუკთა სახელმწიფო“, „თურქ-სელჩუკები და საქართველო“, „დიდგორის ბრძოლა“, „ბრძოლა ოსმალური ექსპანსიის წინააღმდეგ“ და ა.შ (კილურაძე ნ. სანიკიძე გ.

გორდეზიანი ლ. ფირცხალავა ლ. გაჩეჩილაძე რ. ასათიანი ნ. 2012) და დეტალური ანალიზის გამოტანის საშუალებას აძლევს მოსწავლეს.

ორივე სახელმწიფოსათვის საერთო წერტილი აღმოჩნდა ეროვნული სასწავლო გეგმისადმი ერთნაირი მიდგომა. ორივე ქვეყნის ეროვნული სასწავლო გეგმის საგანმანათლებლო პრინციპები ერთნაირია.

ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპები:

„ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, ეროვნული სასწავლო გეგმა ეფუძნება პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო კონცეფციას და განსაზღვრავს ხუთ ძირითად საგანმანათლებლო პრინციპს, რომლებსაც უნდა დაეყრდნოს სწავლა-სწავლების პროცესი. ეს პრინციპებია:

- ა) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას. ბ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. გ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას. დ) სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლა).
- ე) სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

რაც შეეხება უშუალოდ ისტორიის სწავლების სტანდარტს:

საგანი „ისტორია“ საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის ინტეგრირებულ სწავლა-სწავლებას გულისხმობს. სასწავლო კურსის განმავლობაში მოსწავლე გაეცნობა საქართველოს ისტორიის უმთავრეს ეპიზოდებს უძველესი დროიდან დღემდე და დაუკავშირებს მათ მსოფლიო ისტორიის საკვანძო მოვლენებს; შეისწავლის სხვადასხვა ეპოქის სოციალურ ისტორიას (რელიგია, კულტურა, ეკონომიკა); დაინახავს, რომ თანამედროვეობა და წარსული ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. საგნის სწავლა-სწავლებისას მოსწავლე ჩართული იქნება აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას მისცემს.

ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები ისტორიის სწავლა-სწავლება მიზნად ისახავს:

- ხელი შეუწყოს მოსწავლის ჰუმანურ, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, პატრიოტ მოქალაქედ ჩამოყალიბებას;
- მოსწავლეს გაუღვივოს ინტერესი საქართველოსა და

მსოფლიო ისტორიის შესწავლის მიმართ; • მოსწავლეს განუვითაროს ისტორიული (პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური) პროცესების ანალიზისა და მათი თანამედროვეობასთან შედარების უნარი; • ისტორიული პიროვნებებისა და მოვლენების მრავალმხრივად შეფასების უნარი; დაეხმაროს მოსწავლეს ისტორიული ეპოქების აღქმასა და მათი მახასიათებლების ერთმანეთთან / თანამედროვეობასთან შედარებაში; • მოსწავლეს განუვითაროს ისტორიის კვლევისთვის საჭირო უნარები; • მოსწავლეს შესძინოს ისტორიის დარგობრივი ენით ოპერირების უნარი. ამ მიზნებზე მუშაობით ისტორია თავის წვლილს შეიტანს ეროვნული სასწავლო გეგმის მისიისა და მიზნებით გათვალისწინებული უნარებისა და ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში“ (ეროვნული სასწავლო გეგმების პორტალი).

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ორივე ქვეყნის ისტორია უდავოდ ხელს უწყობს მის მოქალაქეებში პატრიოტული სულისკვეთების გაღვივებას ადრეული ასაკიდანვე. ქართული ისტორია ნამდვილად აძლევს მოსწავლეს წარსულის მოვლენების მრავალფეროვნებას და მათი ანალიზ-შეფასების საშუალებას. თურქული ისტორია მეზობელ ქვეყანასთან, კერძოდ, საქართველოსთან მიმართებაში არ იჩენს მოვლენების სრულად ან ნაწილობრივ გადაცემის ინტერესს. იგი მხოლოდ კმაყოფილდება ორივე ქვეყნის ისტორიაში საქართველოს გაკვრით და ერთი სიტყვით ხსენებას.

„ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი სტანდარტის შედეგები საგნის ცნებებზე დაფუძნებით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას: რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს ისტორიაში საბაზო საფეხურის ბოლოს. შედეგები ჯგუფდება სამ მიმართულებად:


- ისტორიული ინტერპრეტაცია და კვლევა - გულისხმობს ისტორიული მოვლენებისა და პროცესების, ასევე ისტორიული პიროვნებების მრავალმხრივად შეფასებას; ისტორიული შინაარსის ტექსტების წაკითხვა-გააზრებასა და გაანალიზებას“ (ეროვნული სასწავლო გეგმების პორტალი).

ისტორიის ქართული სახელმძღვანელოები მეზობელი ქვეყნის შესახებ ძალიან დიდ ინფორმაციას აწვდის. ქართული ისტორიული მოვლენები სავსეა ოსმალო სულთნებისა

და მსგავსი პიროვნებების სახელებით, რომელთა გზაც საქართველოსთან გადაიკვეთა. თურქეთის ისტორიის სკოლის წიგნებში არ ფიქსირდება არცერთ ქართველ მეფე-დედოფალთა სახელები და არც ქმედებანი.

- „ისტორიული ეპოქის აღქმა/ანალიზი - გულისხმობს სხვადასხვა ისტორიული ეპოქების არსებითი მახასიათებლების გამოკვეთას, თანამედროვეობასთან პარალელების გავლებას.
- „ღირებულებები და დამოკიდებულებები - გულისხმობს ისტორიის სწავლა-სწავლების პროცესის ღირებულებების (პატრიოტიზმი, სახელმწიფოებრივი აზროვნება და კულტურული მრავალფეროვნება) განვითარებაზე ორიენტირებულად წარმართვას“ (იეროვნული სასწავლო გეგმების პორტალი).

თურქეთის ისტორიის სკოლის წიგნებში საქართველო მარტო მებრძოლ ქვეყნად არ ჩანს. ის ძირითადად ძლიერი სახელმწიფოების წარმოებულ ბრძოლებში დაქირავებულ ნაწილს წარმოადგენს. ის არც რუკებზე ფიქსირდება განსხვავებული შეფერილობით. ხან ოსმალეთის ნაწილია, ხან ბიზანტიის ფერებში, უკვე შემდგომ საუკუნეებში საბჭოთა რუსეთის შეფერილობას იღებს რუკებზე. შესაბამისად, თურქეთის მოქალაქეებს და მათ შორის ეთნიკურად ქართველებს გაუჭირდებათ წარმოდგენის შექმნა თავიანთ ისტორიულ სამშობლოზე. გარდა ამისა, ნეგატიურ დამოკიდებულებას ბადებს თურქეთის მოქალაქეებში ის ფაქტი, რომ ბათუმი დაპყრობილია ქართველების მიერ. რუკაზე წითლად აღნიშნული ნაწილის განმარტებაა ასეთი, საქართველო უკავია საბჭოთა რუსეთს.



Harita 2.4: Mondros Ateşkes Anlaşması sonrasında gerçekleşen işgaller

დასკვნა

კვლევის ფარგლებში გავაანალიზეთ ორი ქვეყნის ისტორიის წიგნები, რის შედეგადაც მივიღეთ სიტუაცია, რომ თურქეთის სახელმწიფოს სკოლებში აკრედიტებული ისტორიის სახელმძღვანელოებში მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტებში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველო ან არაა საერთოდ ნახსენები, ან ადრეული საუკუნეებიდანვე გაიგივებულია ჯერ ოსმალეთის, შემდგომში კი - რუსეთის ტერიტორიად. არც ერთ საქართველოს გამორჩეულ მეფეს არ ახსნებს თურქეთის ისტორია, მაშინ როდესაც ქართული ისტორია სავსეა სულთნებისა და ოსმალთა მმართველების სახელებით. ხოლო ისტორიის ქართულ სახელმძღვანელოებში, რეალობიდან გამომდინარე, ამომწურავადაა მიწოდებული საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობის დასაწყისიდან დღემდე არსებული მასალები.

საქართველოს სკოლის სახელმძღვანელოების ერთი დიდი უპირატესობაა ის, რომ დაუფარავად და გაუზვიადებლად აღწერს ისტორიაში არსებულ ფაქტებს და ეყრდნობა არა მხოლოდ ქართველ, არამედ უცხოელ მემატიანეთა ცნობებს.

ნაშრომის ფაგლებში ჩატარებული კვლევის შედეგად დასტურდება ჩემი კვლევის ჰიპოთეზა „თურქეთში მცხოვრები ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის კოლექტიური მეხსიერების ფორმირებაზე გავლენა მოახდინა თურქეთის სკოლის სახელმძღვანელოებში საქართველოზე მცირე და უმნიშვნელო ინფორმაციის მიწოდებამ, რომელიც საქართველოს უქმნის სუსტი ქვეყნის სახეს“.

ფაქტი სახეზეა, თურქეთის სახელმწიფო მეზობელ საქართველოზე საუბრისას არასოდეს წარმოაჩენს მას ძლიერ ქვეყნად. ის რაც ქართველებისათვის, საერთო კოლექტიური მეხსიერებისათვის მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს ესაა, გამორჩეული პიროვნებები და მოვლენები, დიადი გამარჯვებები და ზნეობრივად მაღალი ქვეყნის მეფე-დედოფლები. თურქეთში მცხოვრები ეთნიკურად ქართველები კი ერთხელაც ვერ წაიკითხავენ თურქულ სახელმძღვანელოში მაგ. თამარ მეფის ან დავით აღმაშენებლის სახელს, დიდგორისა თუ სხვა მნიშვნელოვანი ბრძოლის შესახებ ცნობებს. ეთნიკურად ქართველებმა თამარ მეფის სახელი იციან, თუმცა მის სახელს

მხოლოდ ისტორიულად ქართულ მიწებზე მრგვალ ხიდებთან აკავშირებენ. მათ ნასწავლ ისტორიაში საქართველო მუდმივად განიცდის დამარცხებებს და კრახს. სულ ვიღაცის მფარველოს ქვეშაა. გარდა ამისა, მუდმივად სხვა ქვეყნის მიერ წარმოებულ ბრძოლებში წარმოადგენს დაქირავებულ ჯარს. თურქეთში მცხოვრებ ეთნიკურად ქართველებს არ მიეწოდებათ ობიექტური ინფორმაცია ისტორიული სამშობლოს შესახებ, შესაბამისად ნასწავლი ისტორიით საქართველოში ჩამოსვლამდე დღემდე რუსეთის ნაწილი ჰგონიათ იგი.

თურქეთი ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნაციონალიზმის იდეებს, რომელზეც ნაშრომის დასაწყისშივე ვისაუბრეთ. სმითის თეორიის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ორივე სახელმწიფო სრულყოფილად ასრულებს თითოეულ კრიტერიუმს: ქმნის საერთო ტერიტორიას ყველა ეთნიკური კონფესიისათვის და ესაა მათთვის საკრალური „სამშობლო“. საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებისათვის საერთოა სამართლებრივი კანონები და ოფიციალურად არსებული დღესასწაულები. თუმცა სამწუხარო ფაქტია, რომ ნაციონალიზმის იდეების ამ სახით გატარების შედეგად ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა არის ინფორმაციულ ვაკუუმში.

სწორედ ნაციონალიზმის იდეოლოგიის საფუძველზე თურქეთის სახელმწიფო თავის ტერიტორიაზე მაცხოვრებელ მოსახლეობას არ უქმნიდა იმის პირობებს, რომ ესწავლათ საკუთარ ენაზე, როგორც საქართველოს სკოლებში სწავლობენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. აღენიშნათ ქართული დღესასწაულები და რაც მთავარია, სკოლის სახელმძღვანელოებიდანვე მიეღოთ ობიექტური ინფორმაცია ისტორიულად მათი სამშობლოს შესახებ. სწორედ იმისათვის, რომ ეთნიკურად ქართველ მოსახლეობას არ გასჩენოდა რაიმე პატრიოტული გრძნობა ისტორიული სამშობლოსადმი, თურქეთმა გადაწყვიტა აეკრძალა ყველაფერი, რაც მშობლიურ მიწას გაახსენებდა. შესაბამისად, მოსახლეობამ თითქმის სრულად დაკარგა იდენტობის ნიშნები და მათდამი ინტერესი.

ინფორმაციის ნაკლებობამ და თურქეთის სახელმწიფოს ზეგავლენამ ითამაშა გადამწყვეტი როლი კოლექტიური მეხსიერების ფორმირებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასათიანი ნ. ლორთქიფანიძე მ. ლომაშვილი ფ. მეტრეველი რ. ოთხმეზური გ. (2012) საქართველოს ისტორია მე-9 კლასი. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. თბილისი
2. ბაგაური ნ. კუდავა ბ. (2018) ტაო-კლარჯეთი ისტორიისა და კულტურის ძეგლები კატალოგი. არტანუჯი. თბილისი
3. გუჯეჯიანი რ. (2015) ეთნიკურ ქართველთა განსახლების არეალი და ისტორიული მახსოვრობის ფაქტები ზემო მაჭახელში. საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. თბილისი .
4. თოფჩიშვილი რ. მემმარიშვილი ე. ელიზბარაშვილი ნ. ავთანდილაშვილი გ. (2018) ჩვენი საქართველო მე-5 კლასი, მოსწავლის წიგნი, ნაწილი I- II. გამომცემლობა „კლიო“. თბილისი
5. თოფჩიშვილი რ. მემმარიშვილი ე. ელიზბარაშვილი ნ. ავთანდილაშვილი გ. (2018) ჩვენი საქართველო მე-6 კლასი, მოსწავლის წიგნი, ნაწილი I- II. გამომცემლობა „კლიო“. თბილისი
6. კილურაძე ნ. სანიკიძე გ. გორდეზიანი ლ. ფირცხალავა ლ. გაჩეჩილაძე რ. ასათიანი ნ. (2012) ისტორია მე-11 კლასი. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. თბილისი
7. კილურაძე ნ. გაჩეჩილაძე რ. სანიკიძე გ. (2012) ისტორია მე-12 კლასი. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. თბილისი
8. სვანიძე მ. (2007) თურქეთის ისტორია. არტანუჯი. თბილისი
9. სმითი ე. (2008). ნაციონალური იდენტობა. ლოგოს პრესი. თბილისი.
10. ფუტყარაძე ნ. (2017) ქართველი მუჰაჯირები თურქეთის შავიზღვისპირეთში. ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
ბათუმი.

11. ქარაია თ.(2015). მეხსიერების პოლიტიკა თანამედროვე საქართველოში (საბჭოთა წარსული გააზრება ვარდების რევოლუციის შემდეგ). დისერტაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.
12. ლუტიძე ი. (2010),, მუჰაჯირ ქართველთა ენობრივი და ეთნიკური იდენტობის საკითხები, „კავკასიის ეთნოლოგიური კრებული“, ტ. XII, იანვარი,
<https://iberiana.wordpress.com/iberiana/ghutidze-muhajir/>
13. ჩოხარაძე მ. (2016) ქართული ენის გეოგრაფია თურქეთში. წიგნი პირველი.
მარმარილოს ზღვის რეგიონი. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბათუმი.
14. ჩოხარაძე მ. (2009) ეროვნული ცნობიერების საკითხები სამხრეთ საქართველოში XIX საუკუნიდან დღემდე და თანამედროვე შავშეთის ქართული სოფლები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კრებული VI. ბათუმი.
15. Ataş Ç. Ataş U. (2018). Türkiye cumhuriyeti inkilap tarih ve Atatürkçülük 8 sınıf. Top yayıncılık pazarlama sanayi ve ticaret limited şirket. Ankara.
16. Gültekin G. Akpınar M. Nohutcu M. Özerdoğan P. Aygün S. (2018) .sosyal bilgiler 7 sınıf. Milli Eğitim Bakanlığı Yayınları. Ankara.
17. Tüysüz S. (2018). sosyal bilgiler 4 sınıf. Tuna Matbaacılık aş. Ankara.
18. Çevik A. Koç G. Şerbetli K. (2018) Türkiye cumhuriyeti inkilap tarih ve Atatürkçülük 12 sınıf. Milli Eğitim Bakanlığı Yayınları. Ankara.
19. Laçın A. Önal B. Demir B. Erdem E. Kaplan M. Arıca M. Günışdu S. Aydemir V. Karakaya Y. Çakmak Y. (2018) Milli Eğitim Bakanlığı Yayınları. tarih 11 sınıf. Ankara.
20. Yüksel E. kapar M.A. bildik F. Şahin K. Şafak L. Ardiç M. Bağci Ö. Yıldız S. (2018). tarih 9 sınıf. Milli Eğitim Bakanlığı Yayınları. Ankara.

21. Yüksel E. kapar M.A. bildik F. (2018) .tarix 10 sınıf. Milli Eğitim Bakanlığı Yayınları. Ankara.
22. Yılmaz A. (2018) .tarix 10 sınıf. İlke basım yayım dağıtım gazetevılık sanay ve ticaret limited şirketi. Ankara .

ინტერნეტ წყაროები:

1. ავალიანი გ. თურქეთის საელჩოს თხოვნით პარლამენტმა დიდგორის დღის უქმედ გამოცხადებაზე კანონპროექტი შეაჩერა 21.04.2017
<https://netgazeti.ge/news/188793/>
2. კალანდია გ. „აჰმედ მელაშვილი-თურქეთის ქართველობის ილია ჭავჭავაძე 20-07-2015
<https://www.kvirispalitra.ge/history/25844-ahmed-melashvili-thurqethis-qarthvelobis-ilia-tcavtcavadze.html>
3. კუხალაშვილი ე. „ისტორია წარსულის დამახსოვრებაა, მაგრამ, ამავე დროს, იგი დასავიწყებლის შერჩევაცაა“ 17.09.2017
<https://www.kutaisipost.ge/ka/interviu/article/9143-istoria-tsarsulis-damakhsovrebaa-magram-amave-dros-igi-dasavitsyebli-sherchevaca-nana-cikhishavi>
4. ყორანაშვილი გ. „ისტორია არის Magister vitae – ცხოვრების მასწავლებელი“ 21.05.2012
<http://mastsavlebeli.ge/?p=2658>
5. ფუტკარაძე ტ. (2015) "მესხი", "მუსლიმანი ქართველი", "თურქი", "თურქი-მესხი", "Meskhetian population", "Meskhetian Turks", "მესხეთის თურქები", ახალციხელი თურქები... <http://putkaradze.blogspot.com/2015/12/meskhetian-population-meskhetian-turks.html>
6. ქართველები თურქეთში
<http://diaspora.gov.ge/?p=4164>

7. შენოლი ე. თურქეთის შეხედულება ქართველებზე და თურქეთის ქართველების თვითაღქმა; ისტორია, დღევანდელიობა, პერსპექტივები. 21-06-2012 Doğanay Ö. ართვინის განთავისუფლება დამყრობლისაგან 06-03-2018

<http://www.artvin.gov.tr/artvin-valisi-omer-doganayin-7-mart-artvinin-dusman-iscalinden-kurtulus-gunu-mesaji>
8. <http://www.gurcu.org/dunden-bugune-turkiye-nin-gurculere-bakisi-ve-turkiyeli-gurculerin-kimlik-algisi-erdogan-senol-davitadze-icerigi-220.html>
9. Türkiye'de kaç milletten insan var? 20-12-2011

<https://www.sabah.com.tr/Gundem/2011/12/20/ankete-gore-turkiyede-kac-millet-var>
10. Türkiyedeki azınlıklar

https://tr.wikipedia.org/wiki/T%C3%BCrkiye%27deki_az%C4%B1nl%C4%B1klar#G%C3%BCrc%C3%BCler

კვლევაში გამოყენებული ვებ-გვერდები:

1. დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

<http://diaspora.gov.ge/?p=4164>
2. ეროვნული სასწავლო გეგმების პორტალი <http://ncp.ge/>
3. ქალაქ ართვინის მერია

<http://www.artvin.gov.tr>

დანართი:

დანართი1.


რუკაზე ყვითლად მონიშნულია მთელი მსოფლიოს მასშტაბით მცხოვრები თურქები.

საქართველოზე ნაჩვენებია ახალციხელი თურქები



დანართი 2 .

მე-15-მე-16 საუკუნეებში ოსმალეთის იმპერია



დანართი 3

თურქეთის გაძლიერება და ბიზანტიის გაძევება



Harita 2.2: Anadolu Beylikleri, XIV. Yüzyıl Başları

დანართი 4

წითლად - რუსეთის დაპყრობილი ტერიტორიები



Harita 1.1: 20. yüzyılın başlarında Osmanlı Devleti ile Avrupa devletlerinin durumu

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Sopiko Bardadze

Interpretation of history in Turkish school books and knowledge of
ethnic Georgian population which are living in Turkey
about historic homeland

Master's Program in Policy Science

The Master's Thesis done to obtain Master's Academic
Degree in Political Sciences

Supervisor: Assistant professor Tamar Karaia

Tbilisi, 2019